12. სადისერტაციო კომისია

12.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამისი დარგობრივი სექციის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად ქმნის სადისერტაციო კომისიას;
12.2. სადისერტაციო კომისია იქმნება, სულ მცირე, შვიდი წევრის შემადგენლობით (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება;
12.3. კომისიის წევრად არჩეული უნდა იქნეს შესაბამისი დარგის (ან საგანგებო შემთხვევაში მომიჯნავე დარგის) სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
12.4. ხელმძღვანელს და შემფასებელს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლების არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით;
12.5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული ან საპატიო პროფესორი. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს დისერტანტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან შემფასებელი. თავმჯდომარე ასახელებს მდივანს კომისიის წევრთაგან.
12.6. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა;
12.7. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.